საჯარო სამართლის იურიდიული პირი -
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტი
LEGAL ENTITY OF PUBLIC LAW -
IVANE JAVAKHISHVILI TBILISI STATE UNIVERSITY
FACULTY OF SOCIAL AND POLITICAL SCIENCES

N 5/30
25/02/2019

5-30-4-201902251412

სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის

დეკანის ბრძანება

სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის საზოგადოებრივი გეოგრაფიის
მიმართულების ხელმძღვანელის დანიშვნის შესახებ

სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დებულების დამტკიცებული ფაკულტეტის საბჭოს გადაწყვეტილებით (ოქმი #9) 08.10.2014 და თსუ-ის წარმომადგენლობითი საბჭოს (ოქმი #6) 09.10.2014 33- ე მუხლის მე-2 და მე-4 პუნქტების შესაბამისად და საზოგადოებრივი გეოგრაფიის მიმართულების 2019 წლის 25 თებერვლის სხდომის #1 ოქმის საფუძველზე.

ვბრძანებ:

1. სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის საზოგადოებრივი გეოგრაფიის მიმართულების ხელმძღვანელად დაინიშნოს პროფესორი იოსებ სალუქვაძე;

2. ბრძანების ფაკულტეტის ვებ გვერდზე, ყველასთვის ხელმისაწვდომ ადგილზე განთავსებისა და შესაბამისი სტრუქტურული ერთეულებისათვის გადაცემის უზრუნველყოფა დაევალოს დეკანის სამდივნოს.

3. ბრძანება ძალაშია გამოცემისთანავე

თამარ დოლბაია

დეკანი

იალია ჭავჭავაძის გამზ. 8, 0179 თბილისი, საქართველო
8, Ilia Tchavtchavadze Ave., 0179 Tbilisi, Georgia
http://www.social.tsu.ge
ტელეფონი: +(995 32) 229 05 94 Tel.
ფაქსი: +(995 32) 229 05 94 Fax
ელ-ფოსტა: social@tsu.ge; E-mail

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის

საზოგადოებრივი გეოგრაფიის მიმართულების

სხდომის ოქმი # 1

5 თებერვალი, 2019

სხდომას ესწრებოდა: მიმართულების 12 წევრიდანესწრებოდა 7 წევრი, კერძოდ:

პროფესორები: ი. სალუქვაძე, გ. გოგსაძე; ასოცირებული პროფესორები: თ. დოლბაია, ი.იაშვილი , გ. კვინიკაძე, ნ. პავლიაშვილი; ასისტენტ-პროფესორები: დ. სიჭინავა.

სხდომის თავმჯდომარედ არჩეულ იქნა პროფესორი გ.გოგსაძე, ხოლო **მდივნად**- ასოცირებული პროფესორი ნ. პავლიაშვილი

დღის წესრიგი:

1. სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის საზოგადოებრივი გეოგრაფიის მიმართულების ხელმძღვანელის არჩევა.

მოისმინეს:გ. გოგსაძემ აღნიშნა, რომ უკვე 1 წელია, რაც უკავია მიმართულების ხელმძღვანელის თანამდებობა, მაგრამ სამეცნიერო პროექტის განხორციელების გამო ვადამდე სურს მისი დატოვება და მან უკვე წარუდგინა ფაკულტეტის დეკანს განცხადება გათავისუფლების თხოვნით. გ. გოგსაძემ დამსწრეთ გააცნო ფაკულტეტის დებულების შესაბამისი მუხლები, რომლის მიხედვითაც მიმართულების სხდომამ უნდა დაასახელოს და შემდგომ კენჭი უყაროს ახალ კანდიდატურას მიმართულების ხელმძღვანელის თანამდებობაზე.

გ.გოგსაძემსთხოვა საბჭოს წევრებს საზოგადოებრივი გეოგრაფიის მიმართულების ხელმძღვანელის თანამდებობაზე კანდიდატურების დასახელება.

ასოცირებულმა პროფესორმა ია იაშვილმა დაასახელა პროფესორ იოსებ სალუქვაძის კანდიდატურა. სხვა კანდიდატურები არ დასახელებულა.

სხდომის თავმჯდომარე გ.გოგსაძემკენჭისყრაზე დააყენა იოსებ სალუქვაძის კანდიდატურა.

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის საზოგადოებრივი გეოგრაფიის მიმართულების ხელმძღვანელის კანდიდატურის არჩევა განხორციელდაფარული

კენჭისყრით. მიმართულების წევრებს დაურიგდათ ბიულეტენები. კენჭისყრის პროცედურის შემდეგ გაიხსნა საარჩევნო ყუთი და სხდომის თავმჯდომარემ დამსწრეთა წინაშე დათვალა ბიულეტენები.

კენჭისყრის შედეგები: იოსებ სალუქვაძე - 7 ხმა; წინააღმდეგი - 0, ბათილი ბიულეტინების რაოდენობა -0.

დაადგინეს:

1. სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის საზოგადოებრივი გეოგრაფიის მიმართულების ხელმძღვანელად არჩეული იქნა პროფესორი იოსებ სალუქვაძე;
2. ეთხოვოს სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანს, თამარ დოლბაიას, დაამტკიცოსპროფესორიიოსებ სალუქვაძე საზოგადოებრივი გეოგრაფიის მიმართულების ხელმძღვანელის თანამდებობაზე.

სხდომის თავმჯდომარე:

გ. გოგსაძე, პროფესორი

სხდომის მდივანი:

ნ. პავლიაშვილი, ასოცირებული პროფესორი